ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3939855

ნომერი: AR1594348

თარიღი : 21.04.2018

გაცემის თარიღი : 01.05.2018

გაცნობის თარიღი : 01.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 71;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 21 აპრილის #AR1594348 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ უკვე დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.13.02.008.060 (1700 მ2) მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში, სპეციალური ზონალური შეთანხმების ფარგლებში - „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი“ #37 (19.09.2012 წ.)–ს და ქალაქ თბილისის მერის განკარგულების #2860 (03.10.2012 წ.) გათვალისწინებით სამსახურის მიერ 2012 წლის 8 ოქტომბრის #359919 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოენების პირობები, საზოგადოებრივი კვების ობიექტის აშენების მიზნით. ამის შემდგომ საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2012 წლის 26 დეკემბრის #51 სხდომის და ქალაქ თბილისის მერის განკარგულების #16 (08.11.2013 წ.) გათვალისწინებით განაშენიანების კ–1 კოეფიციენტი განისაზღვრა კ–1=0.6.

ქალაქ თბილისის მერის #2860 (03.10.2012 წ.) და #16 (08.11.2013 წ.) განკარგულებებში მითითებულია ობიექტის ფუნქცია საზოგადოებრივი კვების ობიექტი (რესტორანი) და რადგან დღევანდელი მდგომარეობით ხდება ფუნქციაში დამატება ერთსართულიანი ჩქარი კვების დანიშნულების ობიექტის და მსუბუქი კონსტრუქციებისგან შემდგარი ფანჩატურის ტიპის ნაგებობის, ცვლილება უნდა განხორციელდეს ზემოთაღნიშნულ განკარგულებებში.

აღნშნულის განსახორციელებლად პირველ რიგში შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.